



საქართველოს ტექნოლოგიების  
ბალანსის ცენტრი

TECHNOLOGY TRANSFER  
CENTER OF GEORGIA

ნინო რამიშვილის ქ. # 31, 0179,  
თბილისი, საქართველო, ტელ: + 995 32 91 71 82,  
ელ.ფოსტა: [info@gttc.ge](mailto:info@gttc.ge), ვებ გვერდი: [www.gttc.ge](http://www.gttc.ge)

# საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (TTCG) აცხადებს

მოწვევას  
ტექნოლოგიების გადაცემისა და ინოვაციების  
კონკურსზე მონაწილეობის განაცხადების  
მისაღებად

## Inno | Georgia

მხარდამჭერები



საქართველო

საქართველოს ინტელექტუალური  
საკუთრების ეროვნული სენტრი

**giz**



Federal Ministry  
for Economic Cooperation  
and Development



შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი  
SHOTA RUSTAVELI NATIONAL  
SCIENCE FOUNDATION



Georgian  
Chamber of  
Commerce &  
Industry



ILIA STATE UNIVERSITY



## ზოგადი ინფორმაცია

### 1) საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი

2012 წლის თებერვლიდან ქართულ საწარმოებს საშუალება აქვთ ინდივიდუალურად მორგებული დახმარება მიიღონ საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრში (TTCG). TTCG-ი პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც საშუამავლო მომსახურებას ახორციელებს ტექნოლოგიების მომხმარებლებს (კომპანიებს) და მომწოდებლებს (უნივერსიტეტები და სამეცნიერო დაწესებულებები ან საწარმოები) შორის და სთავაზობს ტექნოლოგიების გადაცემის საუკეთესო მომსახურებას, კერძოდ: კომპანიების არსებული ტექნოლოგიური მდგომარეობის, ასევე მათი პოტენციური ტექნოლოგიური საჭიროებების ანალიზი (ინოვაციების აუდიტი), კომპანიის კონკრეტული საჭიროებებისთვის არსებული ტექნოლოგიური ალტერნატივების (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით) იდენტიფიცირება (ტექნოლოგიის შეფასება), ტექნოლოგიების გადაცემის ორგანიზება, უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და შემდგომი ტექნიკური კონსულტაციების გაწევა ტექნოლოგიების გადაცემის საკითხებზე. TTCG-ის მთავარი მიზანია საწარმოების ტექნოლოგიური დონის ამაღლება, რაც ასევე დაეხმარება მათ ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდაში.

### 2) Inno|Georgia – ინოვაციების კონკურსი

მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვით/განხორციელებით. TTCG-ი დახმარებას სთავაზობს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის პროექტებს ინოვაციების კონკურსის Inno|Georgia-ს საშუალებით.

Inno|Georgia მიზნად ისახავს იმ კომპანიების დახმარებას, რომლებსაც ინოვაციური პროექტის იდეები აქვთ, მაგრამ მათ განსახორციელებლად არ გააჩნიათ საკმარისი ნოუ-ჰაუ და ფინანსური საშუალებები. Inno|Georgia დაეხმარება იმ კომპანიებს, რომლებიც, მაგალითად, არსებული პრობლემების გადაჭრის ახალ ტექნოლოგიურ გზებს ეძებენ, რომლებსაც სურთ ერთობლივი კვლევებისა და განვითარების (R&D) პროექტების განხორციელება ადგილობრივ ან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად, რომლებსაც საკუთარი კომპანიისთვის სურთ შესაბამისი ადგილობრივი ან საერთაშორისო პატენტის მოპოვება ან გვეგმავენ ახალი პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებას.

Inno|Georgia-ში მონაწილეობის მისაღებად მცირე და საშუალო საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ წინადადება, რომელშიც აღწერილი იქნება მათი კომპანიის ტექნოლოგიური დონე და საჭიროებები, აგრეთვე ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებული იდეა (კითხვებისა და საჭირო ინფორმაციის სრული ნუსხა წარმოდგენილია 1-ელ დანართში).

ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტებით დაკომპლექტებული ჟიური წინადადებებს შეაფასებს და 5-მდე გამარჯვებულ კომპანიას შეარჩევს. კონკურსში გამარჯვებულები TTCG-ის ტექნიკურ დახმარებას და პროექტებისთვის თანადაფინანსებას მიიღებენ. პროექტის საერთო ინვესტიციის დაახლოებით 90%, ანუ მაქსიმუმ 20.000 ლარს. TTCG დაფარავს, ხოლო დანარჩენი 10% (ან მეტი) კომპანიამ უნდა გადაიხადოს. კომპანიის წვლილი ფინანსური სახის უნდა იყოს. არაფინანსური კონტრიბუციები მხედველობაში არ მიიღება, თუმცა კომპანიების მხრიდან არაფინანსური სახის კონტრიბუციებთან დაკავშირებით არსებობს მოლოდინები.

კონკურსის სპონსორია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). GIZ ვეტოს უფლებას ინარჩუნებს Inno|Georgia კონკურსის ყველა ფაზაზე, რომლებიც სტანდარტების შესაბამისად უნდა ჩატარდეს.

### 3) Inno|Georgia-ს საკვალიფიკაციო კრიტერიუმები და პრიორიტეტული სფეროები

Inno|Georgia მოიცავს ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის რელევანტურ ყველა სექტორს<sup>1</sup>; კერძოდ, სასოფლო სამეურნეო-საკვები პროდუქცია, გადამამუშავება, შეფუთვა, ლოგისტიკა, ტრანსპორტი, სამშენებლო ტექნიკა, ტურიზმი, სამოქალაქო მშენებლობა, საინჟინრო ტექნოლოგიები, მომსახურება, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები. უპირატესობა მიენიჭებათ მცირე კომპანიებს, კერძოდ იმ ინოვაციურ და ისეთი სახის პროექტებს, რომელთათვის Inno|Georgia-ს ფინანსური და ტექნიკური დახმარების მოსალოდნელი დადებითი ეფექტი ყველაზე მაღალი იქნება.

მონაწილე კომპანიებმა უნდა ჩამოაყალიბონ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის კონკრეტული და მნიშვნელოვანი პროექტი. სასურველია წარმოადგინონ საჭირო ნაბიჯების, ასევე მოსალოდნელი ტექნიკური და ეკონომიკური ზემოქმედების ნათელი განმარტება.

ამ კონტექსტში ტექნოლოგიების გადაცემა გულისხმობს პროცესს, რომლის საშუალებით სამრეწველო პროცესში ახალი ტექნოლოგიური ცოდნა ინერგება. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ახალი ტექნოლოგიის (პატენტის ან მანქანა-დანადგარების სახით), ისევე უახლესი კვლევების შედეგების დანერგვით უკვე არსებული პროდუქტის გასაუმჯობესებლად, ან ახლის შესაქმნელად. ინოვაცია OECD-ის განმარტებით არის “ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის (პროდუქტი ან მომსახურება), პროცესის, ახალი მარკეტინგული მეთოდის ან ახალი ორგანიზაციული მეთოდის განხორციელება ბიზნესში, სამუშაო ადგილის ორგანიზებაში ან საგარეო ურთიერთობებში”. კომპანიის ეფექტურობის მნიშვნელოვანი ზრდა (მაგ. პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება) შესაძლებელია არა მარტო რადიკალური, არამედ მცირე, თანდათან განვითარებადი ინოვაციების საშუალებითაც, რომლებიც, აგრეთვე შეიძლება წარმოდგენილი იყოს Inno|Georgia-ში მონაწილეობის მსურველებს მიერ.

1-ელ ცხრილში პროექტის შესაძლო ტიპები და TTCG-ის შესაძლო ტექნიკური დახმარების სახეებია წარმოდგენილი (TTCG-ის მომსახურებები უფრო დეტალურად შეიძლება ნაწილშია განხილული). გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ცხრილში პროექტის ტიპების მხოლოდ რამდენიმე მაგალითია მოცემული. Inno|Georgia მრავალფეროვანი ინოვაციური პროექტებით არის დაინტერესებული და ყველას მოგიწოდებთ მონაწილეობის მისაღებად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროექტის ტიპი არ არის ამ ცხრილში ნახსენები.

<sup>1</sup> “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს” შესახებ კანონის თანახმად მცირე საწარმო არის კომპანია, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 20-ს არ აღემატება, ხოლო წლიური ბრუნვა –500 000 ლარს. საშუალო საწარმოში თანამშრომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100-ს ხოლო წლიური ბრუნვა 1 500 000 ლარს.

## ცხრილი 1

პროექტის ტიპი	TTCG მომსახურება	თქვენი პოტენციური სარგებელი
<b>კონსულტაცია: კონკრეტული საჭიროებების შეფასება/ ტე- ქნოლოგიის აუდიტი</b>	ეროვნული ან საერთაშო- რისო ექსპერტის მოძებნა თქვენი ტექნოლოგიური დონის შესაფასებლად და გაუმჯობესების მიზნით წინადადებების წამოსაყ- ენებლად.	ექსპერტის მეშვეობით თქვენი დახ- მარების გაწევა თქვენი კომპანიის ეფექტურობის ზრდის შესაძლე- ბლობების გამოვლენის მიზნით.
<b>ნოუ-ჰაუს შემუშავება მაგ. კვლევითი პარტ- ნიორობის მეშვეობით</b>	თანამშრომლობის ხელშეწყობა კომპანიებსა და უნივერსიტეტებს/ სამეცნიერო დაწესებულებებსა/ გამომგონებლებს შორის.	ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მომავალი კვლევითი პარტნიორობის ან კვლევისა და განვითარების სფეროში (R&D) ინდივიდუალური პროექტისთვის.
<b>ახალი ტექნოლოგიის დანერ- გვა/გაუმჯობესება</b>	ტექნოლოგიის შეფასება – საჭირო ტექნოლოგიის საუ- კეთესო მომწოდებლის პოე- ნა.	ფინანსური დახმარების გაწევა პრო- გრამული უზრუნველყოფის შესაძენად/ აღჭურვილობა/დანადგარების/ /სუბკონტრაქტის გაფორმების მიზნით და შესაბამისი პროდუქტისა და მომწოდებლის/პროვაიდერის მოძიება.
<b>ახალი პროდუ- ქტის/მომსახურების შემუშავე- ბა/გაუმჯობესება</b>	სწორი ტექნოლოგიის მოძებნა ახალი პროდუ- ქტის/მომსახურების შემუ- შავების ან გაუმჯობესების მიზნით და საჭიროებისამებრ ტექნოლოგიის მომ- წოდებელთან კონტაქტების დამყარება.	ფინანსური დახმარების გაწევა ახალი ტექნოლოგიის შექმნის მიზნით და შესაბამისი მომწოდებლის/პროვაიდერის მოძიება.

## 4) პროექტების ვადა და შემოთავაზებული დახმარების ტიპი

Inno|Georgia -ს გამარჯვებულები TTCG ტექნიკურ დახმარებას და მათი პროექტების თანა-  
დაფინანსებას მიიღებენ. TTCG-ის მიერ დახმარების გაწევა გაგრძელდება კონკურსში  
გამარჯვებულების გამომცხადებიდან არა უმეტეს 6 თვის განმავლობაში.

რადგან ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის თითოეული პროცესი უნიკალურია,  
ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი მხოლოდ იმ სავარაუდო მომსახურებებს ასახავს,  
რომელთა გაწევაც TTCG-ს შეუძლია. გამარჯვებული კომპანიებისთვის გაწეული ტე-  
ქნიკური დახმარება თითოეული პროექტის კონკრეტულ საჭიროებებზე იქნება მორ-  
გებული.

- 1. ტექნოლოგიის აუდიტი:** ტექნიკური ექსპერტი ადგილზე ეწვევა კლიენტის კომპანიას  
და შეაფასებს არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და შესაძლებლობებს, აგრეთვე  
პოტენციურ პროექტთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ საჭიროებებს. პირველი  
შეხვედრის დროს ასევე შესაძლებელია კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევა პროე-  
ქტთან დაკავშირებული სტრატეგიული დაგეგმვი საკითხებზე.
- 2. ტექნოლოგიის წყაროების იდენტიფიკაცია:** ეს ფაზა ადრე გაკეთებულ შეფასებას  
ეფუძნება და ის შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ხშირად რამდენიმე  
განსხვავებული ტექნოლოგიური ალტერნატივა არსებობს (როგორც ადგილობრივ,

ასევე საერთაშორისო დონეზე). TTCG-ს შეუძლია ტექნოლოგიის პოტენციური მომწოდებლების იდენტიფიკაცია და კლიენტისთვის ალტერნატივების შეთავაზება (ტექნოლოგიის შეფასება), რათა მან შეძლოს კომერციული გადაწყვეტილების მიღება თუ როგორ იმოქმედოს.

- 3. ცოდნის გადაცემის ორგანიზება:** ცოდნის გადაცემა შეიძლება მოიცავდეს მაგალითად, კომპანიისთვის კონკრეტული სექტორის შესაბამისი გარე ექსპერტების მოძიებას, ან კომპანიასა და უნივერსიტეტებს თუ სამეცნიერო დაწესებულებებს (ადგილობრივი, ან საერთაშორისო) შორის კვლევებისა და განვითარების (R&D) პროექტის მხარდაჭერას. ეს მომსახურება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს მოსამზადებელ სამუშაოებს, როგორცაა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება საკონსულტაციო დასკვნები ან სხვა კვლევები.

## 5) პროექტის ციკლი

### 1. განცხადებების მიღება და ადმინისტრაციული შეფასება

განცხადებების მიღების შემდეგ TTCG-ის მიერ ჩატარდება მათი ფორმალური და ადმინისტრაციული შემოწმება განცხადებების სისრულისა და მითითებული ინფორმაციის სიზუსტის დასადგენად. განცხადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2012 წლის 11 ნოემბერი**.

### 2. ტექნიკური შეფასება და შემოთავაზებული პროექტების შერჩევა

ტექნიკური შეფასება ჩატარდება მაღალი დონის ჟიურის მიერ, რომელიც შედგება სხვადასხვა დარგისა და განსხვავებული ტიპის გამოცდილების მქონე ექსპერტებისგან. მე-3 დანართში წარმოდგენილია შეფასების ცხრილი, რომელსაც ჟიური გამოიყენებს გამარჯვებული პროექტების გამოსავლენად. შეფასება ორ ეტაპად ჩატარდება: თანდართული დოკუმენტების სკრინინგის მეშვეობით, ჟიური საბოლოო სიაში შესულ კომპანიებს თავიანთი წინადადებების წარმოდგენას სთხოვს. GIZ-ს ვებტოვ უფლებას ინარჩუნებს, მაგ. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტი მის ეთიკურ ნორმებს არ აკმაყოფილებს. ჟიური იტოვებს დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, რომელიც პროექტის სრული შეფასებისთვის იქნება აუცილებელი. ხუთამდე საუკეთესო კომპანია **საგარეუდოდ 2012 წლის 30 ნოემბრისთვის** შეირჩევა.

ექსპერტები ეწვევიან ხუთამდე საუკეთესო კომპანიას კონკრეტული ინოვაციური პროექტის განსახილველად და დასაგეგმად, აგრეთვე Inno|Georgia-ს მიერ გასაწევ დახმარებაზე შესათანხმებლად. ამ მსჯელობის შედეგად შეიქმნება პროექტის კონკრეტული გეგმა პროცედურული, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება კონკრეტული მიზნის მქონე ინოვაციური პროექტის შემუშავება, ან კომპანია კონკურსიდან გასვლას გადაწყვეტს, განიხილავენ საბოლოო სიაში არსებულ საუკეთესო შეფასების მქონე მომდევნო კომპანიას.

### 3. კონტრაქტი მონაწილე მხარეებს შორის

კონტრაქტი TTCG-სა და შერჩეულ კომპანიებს შორის დაიდება ერთობლივად შეთანხმებულ პროექტებზე და მათი განხორციელების პერიოდზე. კონტრაქტში განსაზღვრული იქნება პროექტის საფეხურები და მიზანი, აგრეთვე მხარეთა კონტრიბუციები. **კონტრაქტებს ხელი მოეწერება 20 დეკემბრისთვის**. გამარჯვებულების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდება.

### 4. კონტრაქტის განხორციელება

ყველა პროექტისთვის სავალდებულოა კონკრეტული ბიუჯეტისა და ოპერაციული გეგმის დაცვა. პროექტის **მაქსიმალური ხანგრძლივობაა 6 თვე**. მხარეებმა უნდა შექმნან

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა პროექტის მიმდინარეობის კონტროლის მიზნით. კომპანიები ვალდებული არიან რეგულარულად წარმოადგინონ ანგარიშები პროექტის განხორციელების სტატუსის თაობაზე. **პროექტები უნდა განხორციელდეს 20 დეკემბრიდან 31 მაისამდე, კონტრაქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 6 თვის ვადაში.**

#### **5. პროექტის წარმატების საბოლოო შეფასება**

პროექტის ვადის ბოლოს ბენეფიციარი კომპანია ვალდებულია პროექტის წარმატების შესახებ ანგარიში მოამზადოს მონიტორინგის გეგმის მიხედვით. პროექტის საბოლოო შეფასებას და სერტიფიცირებას TTCG-ი განახორციელებს.